ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8
2013 წლის 22 მარტი

ქ. ბორჯომი

„ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად საკრებულომ **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

მუხლი 1

შეტანილი იქნას ცვლილება „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №27 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 10.01.2013 წ. 190020020.35.139.016073)

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. ბორჯომის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ბორჯომის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
			მათ შორის			მათ შორის	
	სულ	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	13,289.3	9.860.2	2.401.5	7458.8	5.140.0	0.0	5.140.0
გადასახადები	5,110.3	3.968.8	0.0	3.968.8	2,270.0	0.0	2,270.0
გრანტები	4,836.8	2.562.2	2.401.8	160.7	180.0	0.0	180.0
სხვა შემოსავლები	3,342.2	3.329.2	0.0	3.329.2	2.690.0	0.0	2.690.0
ხარჯები	4,874.7	6.931,4	950.2	5.981,2	6.516.8	17.5	6.499.3
შრომის ანაზღაურება	848.8	1.027.7	0.0	1.027.7	1.231.6	0.0	1.231.6
საქონელი და მომსახურება	1,942.7	3.176,1	647.7	2.528.3	2.390.9	0.0	2.390.9

პროცენტი	0.0	75.0	0.0	75.0	66.1	0.0	66.1
სუბსიდიები	1,078.2	1.279.4	0.0	1.279.4	1.595.7	0.0	1.595.7
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	342.2	563.2	20.0	543.2	1.113,8	0.0	1.113.8
სხვა ხარჯები	662.8	809.7	282.5	527.1	118.8	17.5	101.3
საოპერაციო სალდო	8,414.6	2.928,8	1.451.2	1.477,6	-1.376.8	-17.5	-1.359.3
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3,266.3	8.417,7	3.879.2	4.538,6	273.2	179.9	93.2
ზრდა	3,459.5	8.563.7	3.879.2	4.684,5	333.2	179.9	153.2
კლება	193.2	145.9	0.0	145.9	60.0	0.0	60.0
მთლიანი სალდო	5,148.4	-5.488.9	-2.427.9	-3.061.0	-1.650.0	-197.4	-1.452.6
ფინანსური აქტივების ცვლილება	4,982.7	-5.564.5	-2.427.9	-3.136.6	-1.739.7	-197.4	-1.542.3
კლება	0.0	5.564.5	2.427.9	3.136.6	1.739.7	197.4	1.542.3
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	5.564.5	2.427.9	3.136.6	1.739.7	197.4	1.742.3
ვალდებულებების ცვლილება	-165.6	-75.6	0.0	-75.6	-89.7	0.0	-89.7
კლება	165.6	75.6	0.0	75.6	89.7	0.0	89.7
საშინაო	165.6	75.6	0.0	75.6	89.7	0.0	89.7
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

".

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. ბორჯომის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ბორჯომის ბიუჯეტის შემოსულობები 5.200.0 ათ, ლარით, გადასახდელები 6.939.7 ათ, ლარით და ნაშთის ცვლილება -1.739.7 ათ. ლარით თანდართული რედაქციით:

	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი	2013 წლის პროგნოზი

დასახელება							
			მათ შორის			მათ შორის	
	სულ	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	**13,482.5**	**10.006.1**	**2.401.5**	**7.604.7**	**5.200.0**	**0.0**	**5.200.0**
შემოსავლები	**13,289.3**	**9.860.2**	**2.401.5**	**7.458.8**	**5.140.0**	**0.0**	**5.140.0**
არაფინანსური აქტივების კლება	**193.2**	**145.9**	**0.0**	**145.9**	**60.0**	**0.0**	**60.0**
ფინანსური აქტივების კლება	**0.0**	**0,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**
ვალდებულებების ზრდა	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
გადასახდელები	**8,499.8**	**15.570.7**	**4.829.4**	**10.741.3**	**6.939.7**	**197.4**	**6.742.3**
ხარჯები	4,874.7	6.931.3	950.2	5.981.1	6.516.8	17.5	6.499.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	3,459.5	8.563,6	3.879.2	4684,5	333.2	179.9	153.2
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებაი კლება	165.6	75.6	0.0	75.6	89.7	0.0	89.7
ნაშთის ცვლილება	-7348.7	-5564,5	-2.427.9	-3.136.6	-1.739.7	-197.4	-1.542.3

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეშვიდე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

" მუხლი 7. ბორჯომის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6.516.8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
			მათ შორის			მათ შორის	
	სულ	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	**4,875.0**	**6931,4**	**950.2**	**5981,2**	**6.516.8**	**17.5**	**6.499.3**
შრომის ანაზღაურება	**848.8**	**1.027.7**	**0.0**	**1.027.7**	**1.231.6**	**0.0**	**1.231.6**
საქონელი და მომსახურება	**1,942.7**	**3.176,1**	**647.7**	**2.528,4**	**2.390.9**	**0.0**	**2.390.9**
პროცენტი	**0.0**	**75.0**	**0.0**	**75.0**	**66.1**	**0.0**	**66.1**
სუბსიდიები	**1,078.2**	**1.279.4**	**0.0**	**1.279.4**	**1.595.7**	**0.0**	**1.595.7**
სოციალური უზრუნველყოფა	**342.5**	**563.6**	**20.0**	**543.6**	**1.392.8**	**0.0**	**1.392.8**

სხვა ხარჯები	**662.8**	**809.7**	**282.5**	**527.1**	**118.8**	**17.5**	**101.3**

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მერვე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 8. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ა) განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 273.2 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ბ) განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 333.2 ლარის ოდენობით,

გ) განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების კლება 60.0 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

დასახელება	**2011 წლის ფაქტი**	**2012 წლის ფაქტი**	**2013 წლის გეგმა**
არაფინანსური აქტივების კლება	**193.2**	**145.9**	**60.0**
ძირითადი აქტივები	**27.5**	**57.5**	**30.0**
არაწარმოებული აქტივები	**165.7**	**88.4**	**30.0**
მიწა	**165.7**	**88.4**	**30.0**

5. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეცხრე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 9. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა 333.2 ლარით ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
			მათ შორის			მათ შორის	
	სულ	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი	**13.0**	**49.2**	**0.0**	**49.2**	**6.7**	**0.0**	**6.7**

ორგანოების დაფინანსება							
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1.3	8.3	0.0	8.3	30.0	0.0	30.0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,955.0	5. 617.9	991.0	4.626.9	146.7	30.2	116.5
განათლება	12.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	1,477.3	2888.1	2888.1	0.0	149.7	149.7	0.0
სულ	3459.5	8.56 3.6	3.879.1	4.684.5	333.2	179.9	153.2

6. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეათე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 10. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -1.650.0 ათასი ლარის ოდენობით."

7. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეთერთმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 11. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -1739.7 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 1.739.7 ათასი ლარის ოდენობით."

8. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეთექვსმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა და უსაფრთხოება

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ქ. ბორჯომში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

მოსახლეობის სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში დახმარების გასაწევად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სამაშველო სამსახურის ოპერატიული მოქმედება, მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების აღმოსაჩენად. აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება.

1.1 საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა არსებული ტექნიკური ბაზის განახლება და საჭირო სამაშველო და სახანძრო ტექნიკის აღჭურვილობის შეძენა, მეხანძრე-მაშველთათვის

სოციალური პირობების გაუმჯობესება.

1.3 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქ.ბორჯომში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. და ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების, ხიდების, ქუჩის ფეხით სავალი ნაწილების რეაბილიტაცია, ცენტრალური და შიგასაქალაქო გზების მოწესრიგება.

2.1.1 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ახალი/მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიგა საქალაქო გზების რეაბილიტაცია, კერძოდ: განხორვიელდება სოფელ მზეთამზის გზის რეაბილიტაცია.

2.1.2 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხიდების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 03)

ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხიდების აღდგენა, კერძოდ განხორციელდება სოფელ ყვიბისში საფეხმავლო ხიდის და ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე ხიდების რეაბილიტაცია.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება ქ. ბორჯომის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა.

2.2.1 ბორჯომის შემოსასვლელში სტელის აღდგენა და საყრდენი კედლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყდენი კედლების მოწყობა. კერძოდ: ბორჯომის მუნიციპალიტეტში ნიკოლაძის და სააკაძის ქუჩებზე, სოფლებში: ყვიბისსა და რველში.

2.2.2 მრავალსართულიანი ბინების სახურავების ლიფტების და ფასადების და სარდაფებში არსებული კომუნიკაციების რეაბილიტაცია. (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში საკმაოდ ბევრი მრავალსართულიანი კორპუსია რომლებიც საჭიროებენ სახურავების, ლიფტების და ფასადების და სარდაფებში არსებული კომუნიკაციების რეაბილიტაციას. შენობების ექსპლუატაციის პერიოდის გათვალისწინებით, ხშირად დგება დღის წესრიგში მათზე მიმდინარე სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოების შესრულება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია, კერძოდ: რეაბილიტაცია ჩაუტარდება გამარჯვების ქუჩაზე მდებარე მრავალბინიან სახოვრებელ სახლს.

2.2.2 ნარჩენების შეგროვება, გატანა კეთილმოწყობის ობიექტების დასუფთავება, ნაგავმზიდი სპეც. მანქანის და სანაგვე ურნების შესყიდვა (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და

ნარჩენების გატანა, ასევე საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. ექსპლოატაციაში შევა ახალი ნაგავსაყრელი სრული დატვირთვით, რაც გააუმჯობესებს ქალაქის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას. ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება.

2.2.3 წყალსადენებისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (პროგრამის კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია, მოსახლეობის 24 საათიანი, სუფთა წყლით უზრუნველყოფა, ასევე საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა. განხორციელდება საკანალიზაციო სისტემის რებილიტაცია მესხეთის ქუჩაზე.

2.2.4. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქალაქის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ახალი სანათი წერტილების მოწყობა, კერძოდ ქ.ბორჯომში შიგა ქუჩების, დაბა ბაკურიანსა და ახალდაბაში მოეწყობა გარე განათება ასევე განხორციელდება სოფლების ცემის, დიდი მიტარბის, ბალანთის და ტაბაწყურის გარე განათების დაერთების სამუშაოები.

2.2.5 სარიტუალო დარბაზების კეთილმოწყობა და ჭურჭლის შეძენა სასაფლაოებისა და ეკლესიების შემოღობვა.(პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სარიტუალო დარბაზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და დარბაზებისთვის ინვენტარის და ჭურჭლის შეძენა. აგრეთვე, ქალაქ ბორჯომის სასაფლაოების შემოღობვა, კერძოდ დაგეგმილია დაბა ახალდაბაში სარიტუალო სახლის მშენებლობა.

2.2.6. ქუჩების გაწმენდა თოვლისა და ყინულის საფარისაგან (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება და გაწმენდა.ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისაგან გათავისუფლება.

2.3 ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოწყობა, მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, საგზაო ნიშნების გადასასვლელებისა და ფეხით მოსიარულეთა ტროტუარების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

2.3.1 სანიაღვრე და სარწყავი არხების გაწმენდა და კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სანიაღვრე და სარწყავი არხების ექსპლოატაცია, გაწმენდა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია. ასევე განხოციელდება ქალაქში საჭიროების შემთხვევაში ახალი სანიაღვრეების მიერთება ცენტრალურ სისტემებთან.

2.3.2 ხეების გადაბელვა, შეწამვლა ქუჩების გამწვანება და სკვერების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული გამწვანების მოვლა–პატრონობა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება. განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა–პატრონობა და მათი კეთილმოწყობა, მოწესრიგდება გამწვანების ზოლები.

2.4. ეკონომიკური საქმიანობა (პროგრამული კოდი 03 04)

ფიზიკური პირებისა და ფერმერების უზრუნველყოფა ვეტერინარების ხარისხიანი მომსახურეობით და კონსულტაციით, ასევე აცრების ჩატარება.

2.4.1. ვეტერინარული მომსახურეობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 04 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში და საძოვრებზე ვეტერინარული მომსახურება. ბიოლოგიური და ქიმიურ-ფარმაცევტული საშუალებებით ცხოველთა დაავადებების პროფილაქტიკა და დიაგნოსტიკა. საძოვრებზე მიევლინებიან ვეტერინარი სპეციალისტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ცხოველებისათვის საშიში გადამდები სნეულებების კერების ლოკალიზებას.

2.5. გამწვანება (პროგრამული კოდი 03 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების მოვლა–პატრონობა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება.

2.6. სამშენებლო სარემონტო, სახარჯთაღრიცხვო და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა (პროგრამული კოდი 03 07)

ქალაქში დაგეგმილი სამშენებლო–სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთხვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოებაც. ასევე აუცილებელია სამშენებლო–სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

2.7. საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია დაბა წაღვერში დაბის სახლის შენობის გაზიფიცირება, რაც უზრუნველყოფს შენობაში განთავსებული სხვადასხვა სამსახურებისათვის კომფორტული გარემოს შექმნას.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა.

3.1 ააიპ "ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი"(პროგრამული კოდი 04 01)

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 10 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 628 ბავშვი. საბავშვო ბაღებში ერთი ბავშვის სწავლის ღირებულება შეადგენს 20 ლარს და აღნიშნული თანხით ძირითადად ფინანსდება ბავშვების კვების ხარჯები. პროგრამის ფარგლებში ქალაქის ბიუჯეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. ასევე ხორციელდება არსებული ბაღების რეაბილიტაცია.

3.2. საჯარო სკოლების ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ბორჯომის მუნიციპალიტეტის სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯები.

4.კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და

შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

4. **სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. ქვეპროგრამის მოიცავს სკოლის მოსწავლეთა ჩართულობას სპორტულს შეჯიბრებებში.

4.1.1 ააიპ „ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო გაერთიანება"(პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო გაერთიანების" 392–მდე სპორტსმენის დაფინანსებას, გაერთიანება მოიცავს სპორტის 15 სახეობას და უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნას.

4.1.2. სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ტურნირები კალათბურთში , ფრენბურთში სკოლის მოსწავლეთა შორის, მხიარული სტარტები და მინი–ფეხბურთი მოსწავლეთა შორის, რესპუბლიკური ტურნირები ძიუდოში ,მოხდება წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოება წახალისება მიღწეული შედეგებისათვის.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1 სამუსიკო სკოლა (ქვეპროგრამის კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 230-მდე მოსწავლე; პროგრამის მიზანია მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამუსიკო განათლება და აზიაროს მუსიკალური ხელოვნების საფუძვლებს.

4.2.2 საბიბილიოთეკო გაერთიანება (ქვეპროგრამის კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანება", სადაც ხდება ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობა, წიგნადი ფონდების შევსება დაკომპლექტება და სრული აღრიცხვა, ყველა ასაკის მკითხველის მომსახურება საჭირო ინფორმაციით და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით.

4.2.3 კულტურისა და ხელოვნების ცენტრი (ქვეპროგრამის კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს: ააიპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის" მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორებიცაა: ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა, თეატრის აღორძინება, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა, სამუსიკო და ქორეოგრაფიული ნიმუშების შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა.

4.2.4 თოჯინების თეატრი (პროგრამული კოდი 05 02 04)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ "ბორჯომის თოჯინების თეატრი" რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა ღონისძიებების გამართვას, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას ქალაქის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. სსიპ თოჯინების თეატრის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორებიცაა: მხატვრული აღზრდის პროპაგანდა, ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარება, სასცენო ხელოვნების განმტკიცება, ტრადიციების აღორძინება და განვითარება, ზოგადსაკაცობრიო იდეალების ბავშვებში ზნეობრივი და სულიერი სამყაროს გამდიდრება და პატრიოტული სულისკვეთების განმტკიცება. 2013 წელს თეატრი გეგმავს სამი ახალი სპექტაკლის დადგმას.

4.2.5 ეროვნული და ადგილობრივი დღესასწაულები (პროგრამული კოდი 05 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და სადღესასწაულო ღონისძიებების მოწყობა.

- ბაკურიანობა
- დედის დღე
- ინტელექტუალური თამაშები (რა? სად? როდის?)
- 1 აპრილი-„სიცილის დღე“-მხიარულთა და საზრიანთა ფესტივალი
- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე -1ივნისი
- ბორჯომ-ქალაქობა-2013
- საახალწლო ღონისძიებები

4.2.6 ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კლუბებისა და პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები. (პროგრამული კოდი 05 02 06)

პროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კლუბებისა და ბორჯომის ცენტრალური პარკის შესასვლელისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. 9 აპრილის ქუჩის და ხიდის რეაბილიტაცია.

4.3. რელიგია (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა.

4.3.1. ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქია (პროგრამული კოდი 05 03 01)

ქვეპროპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველობის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია–მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

4.4 საინფორმაციო მომსახურება (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამით განხორციელდება განცხადებებისა და ინფორმაციის გამოქვეყნება პრესასა და ტელევიზიაში, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას.

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი

მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით ბორჯომის მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

5.1.1 ჯანდაცვის ცენტრი (პროგრამული კოდი 06 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ზედამხედველობის სისტემით მიღებული მონაცემების რეგისტრაცია, შეფასება, დაზუსტება, სტატისტიკური ანგარიშგება და გადაცემა დადგენილი წესის მიხედვით, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა-ანგარიშგება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამდებ დაავადებებზე ინფორმაციის დამუშავება და მათი პრევენცია. იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა.მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა, დადგენა პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა, საგანმანათლებლო სააღმზრდელო მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ზედამხედველობა.

5.1.2 დერატიზაციის ღონისძიებები(პროგრამული კოდი 06 01 02)

ქვეეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მღრღნელების და ინფექციის გადამტანი ცხოველების ლიკვიდაცია. ნაგვის ბუნკერების, ნაგვის შემკრები კონტეინერების, ნაგავსაყრელზე სადეზინფექციო დერატიზაციის და დეზინსექციის სამუშაოების ჩატარება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება; ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.

5. 2 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.2.1 სოციალურად დაუცველი ფენის სტაციონარული სამედიცინო მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 01)

აღნიშნული ქვეპროგრამით დაფინანსდებიან სოციალურად დაუცველი პირები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 70001-დან 160000 ქულამდე სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი სარეიტინგო ქულა და აგრეთვე გამონაკლის შემთხვევაში ის პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არის 70001-ზე ნაკლები და სამედიცინო დახმარების პოლისის მიღებამდე საჭიროებენ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას. აგრეთვე იმ სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი, რომელსაც ესაჭიროება ფიზიოლოგიური მშობიარობა დაფინანსდება 400 ლარით. ამ პროგრამით დაფინანსდებიან ჰემოდიალეზზე მყოფი პირები, რომლებიც არ არიან ჰემოდიალეზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული. ჰემოდიალეზით მკურნალობის მაქსიმალური თანხა განისაზღვრა 4000 (ოთხი ათასი) ლარით. ამ შემთხვევაში არ იქნება გათვალისწინებული ქულათა რაოდენობა.

მოსახლეობის სტაციონარული სამედიცინო დახმარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოქალაქის დაფინანსების მაქსიმალური თანხა გარდა ჰემოდიალეზისა განისაზღვრა 2000 ლარით.

200 ლარამდე ღირებულების სამედიცინო მომსახურება დაფინანსდება სრულად.

1000 ლარამდე ღირებულების სამედიცინო მომსახურება დაფინანსდება 50%_ით;

1000 ლარიდან 3000 ლარამდე _ განისაზღვრება ფორმულით.

3000 ლარის ზევით დაფინანსდება 2000 ლარით.

გამონაკლის შემთხვევაში ასევე ის პირები , რომლებიც არ არიან რეგისტრირებული „სოციალურად დაუცველი

ოჯახების ერთიან ბაზაში“, მაგრამ საჭიროებენ გადაუდებელ სამედიცინო სტაციონარულ მომსახურებას, რომელიც დადასტურებული იქნება ჩანაწერით ცნობაში ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, დაფინანსდებიან შემდეგნაირად:

1000 ლარამდე მომსახურება დაფინანსდება -50%-ით,

1000 ლარიდან 3000 ლარამდე სამედიცინო მომსახურება დაფინანსდება - 800 ლარით,

3000 ლარს ზევით - 2000 ლარით.

5.2.2 უფასო სასადილოს დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფი 220 ბენეფიციარის ყოველდღიურად კვებით უზრუნველყოფა.

1. **ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები (პროგრამული კოდი 06 02 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 100 ლარის ოდენობით.

1. **საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აფხაზეთსა და სამაჩაბლოში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ ჯარისკაცთა ოჯახების მატერიალური დახმარება თითოეულზე 50 ლარის ოდენობით (37 ბენეფიციარი).

1. **მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერადი დახმარება. (პროგრამული კოდი 06 02 05)**

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ვეტერანებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა 50 ლარის ოდენობით, თითოეულ ვეტერანზე. აღნიშნული ღონისძიება არის მატერიალური და მორალური მხარდაჭერა ვეტერანების მიმართ. (49 ბენეფიციარი).

5.2.6 ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარებას მიიღებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 300-მდე ბენეფიციარი, თითო 100 ლარის ოდენობით, პროგრამის განხორციელება გავლენას იქონიებს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

1. **16 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 07)**

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია დედ-მამით ობოლ ბავშვთა კვებისა და განათლების მიღებისათვის ყოველთვიური ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით (4 ბენეფიციარი).

5.2.8 სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბინით უზრუნველყოფა (06 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ხანძრის შედეგად უბინაოდ დარჩენილი ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა სულ (14 ოჯახი)

5.2.9 სამედიცინო დაზღვევის ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 10)

ქვეპროგრამით გათვალიწინებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგების და ტექნიკური პერსონალის კულტურის მუშაკების სამედიცინო დაზღვევა. მოსახლეობის განსაზღვრული ნაწილის სამედიცინო დაზღვევა უზრუნველყოფს უფასო სამედიცინო მომსახურებას.

1. **მუნიციპალიტეტის მოსახლეობის პროგრამული ხარჯი საქალაქო ტრანსპორტზე ტარიფის შესანარჩუნებლად (პროგრამული კოდი 06 02 11)**

კვლავ აქტუალური რჩება შიდა საქალაქო ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. საწვავისა და მარაგ ნაწილების სულ უფრო მზარდი ფასები ასახვას პოულობს მგზავრობის საფასურზე. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდასაქალაქო ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის სუბსიდირების გზით, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვაც გააჩნია.

5.2.11 განსაკუთრებით გამოჩენილი ადამიანების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 12)

ქვეპროგრამით გაიცემა ყოველთვიური მატერიალური დახმარება 100 ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს განსაკუთრებით გამოჩენილი ადამიანების სოციალური პირობების გაუმჯობესებას, მათ მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას (5 ბენეფიციარი).

5.2.12. 16 წლამდე ასაკის ოთხი და მეტშვილიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 13)

ქვეპროგრამის ფარგლებში 16 წლამდე ასაკის ოთხი და მეტშვილიანი ოჯახები მიიღებენ ყოველთვიურ ფულად დახმარებას, ოთხშვილიანი ოჯახი მიიღებს ყოველთვიურად 100 ლარს, ხოლო ყოველ მომდევნო შვილზე 50 ლარს. მუნიციპალიტეტში 31 ოთხშვილიანი, 8 ხუთშვილიანი, 1 ექვსშვილიანი, 1 რვაშვილიანი ბენეფიციარია.

5.2.13 სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება და შეშით უზრუნველყოფა(პროგრამული კოდი 06 02 14)

- ქვეპროგრამით გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი 0-დან 27000 ქულის მქონე ოჯახების უზრუნველყოფა საშეშე მერქნით.
- ბორჯომის მუნიციპალიტეტში სოფელ დგვარში მეწყრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება 1300 ლარით სულ 115 ოჯახი და ასევე სტიქიის შედეგად დაღუპულის ოჯახის ფინანსური დახმარება.

5.2.14 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 15)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება: კერძოდ 0-დან 160 000-მდე სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახების მედიკამენტებით დახმარება ერთჯერადად 100 ლარის ფარგლებში პოსტ ჰოსპიტალიზაციის შემდგომი მკურნალობის მიზნით. ასევე აღნიშნული ქვეპროგრამით დაფინანსდებიან ის მოქალაქეები, რომლებსაც სოციალური მომსახურების სააგენტოს 12.02.2013 წლის #04-49/ო ბრძანებით შეუწყდათ რეგისტრაცია სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში.

5.2.15 ერთჯერადი მატერიალური დახმარება(პროგრამული კოდი 06 02 16)

- ქვეპროგრამით დაფინანსდებინ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები 100 ლარით ერთჯერადად სულ (2052 ბენეფიციარი)
- 18 წლამდე ინვალიდი ბავშვები 1000 ლარით სულ (65 ბენეფიციარი) "

9. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეჩვიდმეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 17. ბორჯომის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

		2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი		2013 წლის გეგმა		
				მათ შორის		მათ შორის	

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	სულ	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,084.4	1.418.1	8.5	1.409.6	1.705.7	0.0	1.705.7
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,061.1	1.321.7	8.5	1.313.2	1.624.6	0.0	1.624.6
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,061.1	1.321.7	8.5	1.313.2	1.564.6	0.0	1.564.6
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	0.0	0.0	60.0	0.0	60.0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	11.4	7.7	0.0	7.7	15.0	0.0	15.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	75.0	0.0	75.0	66.1	0.0	66.1
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	12.0	13.8	0.0	13.8	0.0	0.0	0.0
702	თავდაცვა	143.6	75.1	0.0	75.1	110.0	0.0	110.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	267.0	304.5	0.0	304.5	361.9	0.0	361.9
704	ეკონომიკური საქმიანობა	677.3	4.674.2	998.3	3.675.9	75.7	22.2	53.5
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	8.4	626.9	439.2	187.7	18.0	0.0	18.0
70421	სოფლის მეურნეობა	8.4	626.9	439.2	187.7	18.0	0.0	18.0
7045	ტრანსპორტი	668.9	4.047.3	559.1	3.488.2	57.7	22.2	35.5

70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	668.9	4.047.3	559.1	3.488.2	57.7	22.2	35.5
7046	კავშირგაბმულობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
705	გარემოს დაცვა	824.1	1035.3	117.7	917.6	635.7	0.0	635.7
7051	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	657.4	518.6	0.0	518.6	515.5	0.0	515.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	146.7	487.3	117.7	369.6	100.7	0.0	100.7
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	20.0	29.4	0.0	29.4	20.0	0.0	20.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2,856.8	2.925.8	796.7	2.129.1	871.1	25.5	845.5
7061	ბინათმშენებლობა	1,417.0	1.722.9	596.7	1.126.1	47.3	23.3	24.0
7063	წყალმომარაგება	576.4	229.3	0.0	229.3	221.0	2.3	218.7
7064	გარე განათება	563.6	477.4	0.0	477.4	449.8	0.0	449.8
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	299.8	296.3	200.0	296.3	153.0	0.0	153.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	81.4	71.7	0.0	71.7	80.0	0.0	80.0
7072	ამბულატორიული მომსახურება	7.9	2.6	0.0	2.6	0.0	0.0	0.0
70721	ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება	7.9	2.6	0.0	2.6	0.0	0.0	0.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	60.0	59.5	0.0	59.5	60.0	0.0	60.0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	13.5	9.6	0.0	9.6	20.0	0.0	20.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2,180.9	3.834.9	2.888.1	946.8	1.135.6	149.7	985.8
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1,651.5	3.167.8	2.888.1	279.6	364.0	149.7	214.3
	მომსახურება კულტურის	456.2	536.8	0.0	536.8	681.5	0.0	681.5

7082	სფეროში							
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	73.2	130.3	0.0	130.3	90.0	0.0	90.0
709	განათლება	369.4	383.2	0.0	383.2	481.7	0.0	481.7
7091	სკოლამდელი აღზრდა	317.0	343.7	0.0	343.7	440.0	0.0	440.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	52.5	39.9	0.0	39.9	41.7	0.0	41.7
710	სოციალური დაცვა	506.6	765.4	20.0	745.4	1.392.8	0.0	1.392.8
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	105.0	249.4	20.0	229.4	380.0	0.0	380.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	105.0	249.4	20.0	229.4	380.0	0.0	380.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	36.4	36.2	0.0	36.2	310.8	0.0	310.8
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	8.9	43.5	0.0	43.5	13.5	0.0	13.5
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	356.3	436.2	0.0	436.2	688.5	0.0	688.5
	სულ	8,334.2	15495.1	4.829.4	10.665.7	6.850.0	197.4	6.652.6

10. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მეთვრამეტე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 18. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**

ორგ. კოდი	დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის ფაქტი			2013 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ბორჯომის მუნიციპალიტეტი	8,499.8	15.570.7	4.829.4	10.741.3	6.939.7	197.4	6742.3
	მომუშავეთა რიცხოვნობა	143	162	0.0	162	164	0.0	164

	ხარჯები	4,874.7	6.931.4	950.2	5.981.1	6.516.8	17.5	6.499.3
	შრომის ანაზღაურება	848.8	1.027.7	0.0	1.027.7	1.231.6	0.0	1.231.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,459.5	8.553.7	3.879.1	4.674.6	333.2	179.9	153.2
	ვალდებულებების კლება	165.6	75.6	0.0	75.6	89.7	0.0	89.7
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1,250.1	1.493.7	8.52	1.485.2	1795.4	0.0	1795.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	13.0	49.2	0.0	49.2	6.7	0.0	6.7
	ვალდებულებების კლება	165.6	75.6	0.0	75.6	89.7		89.7
02 00	თავდაცვა და უსაფრთხოება	410.6	465.8	0.0	465.8	471.9	0.0	471.9
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3,758.1	8.635.3	1.912.8	6.722.5	1.584.7	47.7	1.537.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,955.0	5.617.9	991.0	4.626. 9	146.7	30.2	116.5
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	668.9	4.047.3	559.1	3.488.2	57.7	22.2	35.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	668.9	4.024.7	559.1	3.465.6	57.7	22.2	35.5
03 01 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების რეაბილიტაცია	472.7	3.765.4	559.1	3.206.3	22.2	22.2	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	472.7	3.765.4	559.1	3.206.3	22.2	22.2	0.0
03 01 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხიდების რეაბილიტაცია	43.0	210.0	0.0	210.0	0.0	35.5	35.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	43.0	210.0	0.0	210.0	0.0	35.5	35.5
03 01 03	გარე-ვიდეო სამეთვალყურეო და სიჩქარის რადარების შეძენა-დამონტაჟება	153.2	22.6	0.0	22.6	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	22.6	0.0	22.6	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	153.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2,733.2	2.575.8	714.5	1.861.3	1.294.1	25.5	1.268.5
	ხარჯები	1,504.3	1.739.8	282.5	1.445.8	1.207.3	17.5	1.189.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,228.8	826.0	431.9	394.0	62.8	8.0	54.7
03 02 01	ბორჯომის შემოსასვლელი სტელის აღდგენა და საყრდენი კედლების რეაბილიტაცია	305.6	435.4	314.2	121.2	29.8	5.8	24.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	305.6	435.4	314.2	121.2	29.8	5.8	24.0
03 02 02	მრავალსართულიანი ბინების სახურავებისა, ლიფტების , ფასადების და სარდაფებში არსებული კომუნიკაციების რეაბილიტაცია	454.1	531.6	282.5	249.1	17.5	17.5	0.0
	ხარჯები	454.1	531.6	282.5	249.1	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა					17.5	17.5	
03 02 03	ნარჩენების შეგროვება გატანა, კეთილმოწყობის ობიექტების დასუთავება, ნაგავმზიდი სპეც, მანქანის და სანაგვე ურნების შესყიდვა	657.4	518.6	0.0	518.6	515.0	0.0	515.0
	ხარჯები	448.9	474.6	0.0	474.6	515.0	0.0	515.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	208.5	44.0	0.0	44.0	0.0	0.0	0.0
03 02 04	წყალსადენების და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	576.4	472.9	117.7	355.2	221.0	2.3	218.7
	ხარჯები	139.0	206.2	0.0	206.2	214.0	0.0	214.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	437.4	266.7	117.7	148.9	7.0	2.3	4.7
03 02 05	გარეგანათების მოვლა პატრონობა,ელ, ენერგიის ხარჯი, გარე განათების ბოძების მონტაჟი, დეკორატიული განათებისა და მოსაცდელების მოწყობა	563.6	488.9	0.0	488.9	449.8	0.0	449.8
	ხარჯები	368.8	399.1	0.0	399.1	399.8	0.0	399.8
	არაფინანსური	194.8	89.8	0.0	89.8	50.0	0.0	50.0

	აქტივების ზრდა							
03 02 06	სარიტუალო დარბაზების კეთილმოწყობა ჭურჭლის შეძენა, სასაფლაოების და ეკლესიების შემოღობვა	110.3	18.0	0.0	18.0	21.0	0.0	21.0
	ხარჯები	27.7	18.0	0.0	18.0	21.0	0.0	21.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	82.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 02 07	ქუჩების გაწმენდა თოვლისა და ყინულის საფარისაგან	26.0	39.4	0.0	39.4	40.0	0.0	40.0
	ხარჯები	26.0	39.4	0.0	39.4	40.0	0.0	40.0
03 02 08	სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის ღონისძიებები	39.9	70.9	0.0	70.9	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	39.9	70.9	0.0	70.9	0.0	0.0	0.0
03 03	მუნიციპალტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	166.7	352.4	0.0	352.4	120.7	0.0	120.7
	ხარჯები	166.7	273.1		273.1	120.7	0.0	120.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა		79.2	0.0	79.2		0.0	0.0
03 03 01	სანიაღვრე და სარწყავი არხების გაწმენდა და კეთილმოწყობა	146.7	243.7	0.0	243.7	100.7	0.0	100.7
	ხარჯები	146.7	243.7	0.0	243.7	100.7	0.0	100.7
03 03 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხეების გადაბელვა,შეწამვლა, ქუჩების გამწვანება და სკვერების კეთილმოწყობა	20.0	29.4	0.0	29.4	20.0	0.0	20.0
	ხარჯები	20.0	29.4	0.0	29.4	20.0	0.0	20.0
03 04	ეკონომიკური საქმიანობა (სოფლის მეურნეობა)	8.4	17.0	0.0	17.0	18.0	0.0	18.0
	ხარჯები	8.4	17.0	0.0	17.0	18.0	0.0	18.0
03 04 01	ვეტერინარული მომსახურება	8.4	17.0	0.0	17.0	18.0	0.0	18.0
	ხარჯები	8.4	17.0	0.0	17.0	18.0	0.0	18.0
03 05	გამწვანება	0.0	10.0	0.0	10.0	42.0	0.0	42.0
	ხარჯები	0.0	9.9	0.0	9.9	42.0	0.0	42.0

03 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0	609.9	439.2	170.7	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	609.9	439.2	170.7	0.0	0.0	0.0
03 07	სამშენებლო, სარემონტო, სახარჯთაღრიცხვო და საპროექტო დოკუმენტაციის შედენა	123.6	267.2	200.0	67.21	50.0	0.0	50.0
	ხარჯები	123.6	267.2	200.0	67.2	50.0	0.0	50.0
03 08	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია	57.3	755.8	0.0	755.8	2.3	0.0	2.3
	ხარჯები	0.0	77.8	0.0	77.8	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	57.3	678.0	0.0	678.0	2.3	0.0	2.3
04 00	განათლება	312.1	383.2	0.0	383.2	479.4	0.0	479.4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	12.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები	259.7	343.3	0.0	343.3	437.7	0.0	437.7
	ხარჯები	246.8	343.3	0.0	343.3	437.7	0.0	437.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	12.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 02	საჯარო სკოლების ფინანსური დახმარება	52.5	39.9	0.0	39.9	41.7	0.0	41.7
	ხარჯები	52.5	39.9	0.0	39.9	41.7	0.0	41.7
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	2,180.9	3.755.7	2.888.1	867.6	1.135.6	149.7	985.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,477.3	2.888.1	2.888.1	0.0	149.7	149.7	0.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	211.5	200.4	0.0	200.4	214.3	0.0	214.3
	ხარჯები	174.3	200.4	0.0	200.4	214.3	0.0	214.3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	37.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 01 01	ააიპ "ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო სკოლა"	171.7	192.5	0.0	192.5	207.3	0.0	207.3
	ხარჯები	171.7	192.5	0.0	192.5	207.3	0.0	207.3

05 01 02	სპორტული ღონისძიებები	39.8	7.9	0.0	7.9	7.0	0.0	7.0
	ხარჯები	2.6	7.9	0.0	7.9	7.0	0.0	7.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	37.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1,896.2	3.424.9	2.888.1	536.8	831.3	149.7	681.5
	ხარჯები	456.2	536.8	0.0	536.8	681.5	0.0	681.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,440.1	2.888.1	2.888.1	0.0	149.7	149.7	0.0
05 02 01	მუსიკალური სკოლების დაფინანსება	55.4	65.9	0.0	65.9	94.3	0.0	94.3
	ხარჯები	55.4	65.9	0.0	65.9	94.3	0.0	94.3
05 02 02	ააიპ "ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანება"	102.6	105.5	0.0	105.5	128.0	0.0	128.0
	ხარჯები	102.6	105.5	0.0	105.5	128.0	0.0	128.0
	ააიპ "ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი"	174.0	190.0	0.0	190.0	265.0	0.0	265.0
	ხარჯები	174.0	190.0	0.0	190.0	265.0	0.0	265.0
05 02 04	თოჯინების სახელმწიფო თეატრი	51.7	55.1	0.0	55.1	76.2	0.0	76.2
	ხარჯები	51.7	55.1	0.0	55.1	76.2	0.0	76.2
05 02 05	ეროვნული და ადგილობრივი დღესასწაულები	72.5	120.3	0.0	120.3	116.1	0.0	116.1
	ხარჯები	72.5	120.3	0.0	120.3	116.1	0.0	116.1
05 02 06	ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიოტორიაზე კლუბების და პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები	1,440.1	2.888.1	2.888.1	0.0	149.7	149.7	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,440.1	2.888.1	2.888.1	0.0	149.7	149.7	0.0
05 03	რელიგია	57.0	112.1	0.0	112.1	70.0	0.0	70.0
	ხარჯები	57.0	112.1	0.0	112.1	70.0	0.0	70.0
05 03 01	ბორჯომ ბაკურიანის ეპარქია	57.0	112.1	0.0	112.1	70.0	0.0	70.0
	ხარჯები	57.0	112.1	0.0	112.1	70.0	0.0	70.0
05 04	საინფორმაციო მომსახურეობა	16.2	18.25	0.0	18.25	20.0	0.0	20.0

	ხარჯები	16.2	18.25	0.0	18.25	20.0	0.0	20.0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	588.0	837.1	20.0	817.0	1.472.8	0.0	1.472.8
	ხარჯები	588.0	837.1	20.0	817.0	1.472.8	0.0	1.472.8
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	81.4	71.7	0.0	71.7	80.0	0.0	80.0
	ხარჯები	81.4	71.7	0.0	71.7	80.0	0.0	80.0
06 01 01	ააიპ "ბორჯომის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი"	60.0	59.5	0.0	59.5	60.0	0.0	60.0
	ხარჯები	60.0	59.5	0.0	59.5	60.0	0.0	60.0
06 01 02	დერატიზაციის ღონისძიებები	13.5	9.6	0.0	9.6	20.0	0.0	20.0
	ხარჯები	13.5	9.6	0.0	9.6	20.0	0.0	20.0
06 01 03	ამბულატორიული სამედიცინო მომსახურეობის ხელშეწყობის ხარჯი	7.9	2.6	0.0	2.6	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	7.9	2.6	0.0	2.6	0.0	0.0	0.0
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	506.6	765.4	20.0	745.4	1.392.8	0.0	1.392.8
	ხარჯები	506.6	765.4	20.0	745.4	1.392.8	0.0	1.392.8
06 02 01	სოციალურად დაუცველი ფენის სტაციონარული სამედიცინო მომსახურება	105.0	249.4	20.0	229.4	320.0	0.0	320.0
	ხარჯები	105.0	249.4	20.0	229.4	320.0	0.0	320.0
06 02 02	უფასო სასადილოს დაფინანსება	125.7	128.4	0.0	128.4	149.0	0.0	149.0
	ხარჯები	125.7	128.4	0.0	128.4	149.0	0.0	149.0
06 02 03	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები	5.4	3.5	0.0	3.5	10.0	0.0	10.0
	ხარჯები	5.4	3.5	0.0	3.5	10.0	0.0	10.0
06 02 04	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის	22.8	22.4	0.0	22.4	22.2	0.0	22.2

	ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება							
	ხარჯები	22.8	22.4	0.0	22.4	22.2	0.0	22.2
06 02 05	მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა დახმარება	4.7	4.6	0.0	4.6	4.0	0.0	4.0
	ხარჯები	4.7	4.6	0.0	4.6	4.0	0.0	4.0
06 02 06	ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარება	23.0	25.7	0.0	25.7	30.0	0.0	30.0
	ხარჯები	23.0	25.7	0.0	25.7	30.0	0.0	30.0
06 02 07	16 წლამდე ასაკის დედმამით ობოლი ბავშვების დახმარება	1.8	1.8	0.0	1.8	4.6	0.0	4.6
	ხარჯები	1.8	1.8	0.0	1.8	4.6	0.0	4.6
06 02 08	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბინით უზრუნველყოფა	8.9	43.5	0.0	43.5	13.5	0.0	13.5
	ხარჯები	8.9	43.5	0.0	43.5	13.5	0.0	13.5
06 02 09	წყლის საფასურის ასანაზღაურებელი ფინანსური პროგრამა	4.0	0.5	0.0	0.5	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	4.0	0.5	0.0	0.5	0.0	0.0	0.0
06 02 10	სამედიცინო დაზღვევის ხარჯი	0.0	61.3	0.0	61.3	70.0	0.0	70.0
	ხარჯები	0.0	61.3	0.0	61.3	70.0	0.0	70.0
06 02 11	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის პროგრამული ხარჯი საქალაქო ტრანსპორტზე ტარიფის შესანარჩუნებლად	145.2	140.0	0.0	140.0	209.0	0.0	209.0
	ხარჯები	145.2	140.0	0.0	140.0	209.0	0.0	209.0
06 02 12	განსაკუთრებით გამოჩენილი ადამიანების დახმარება	11.6	8.7	0.0	8.7	6.0	0.0	6.0
	ხარჯები	11.6	8.7	0.0	8.7	6.0	0.0	6.0
06 02 13	16 წლამდე ასაკის მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	28.0	26.0	0.0	26.0	59.4	0.0	59.4
	ხარჯები	28.0	26.0	0.0	26.0	59.4	0.0	59.4

06 02 14	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება და საშეშე მერქნით უზრუნველყოფა	20.7	49.5	0.0	49.5	164.9	0.0	164.9
	ხარჯები	20.7	49.5	0.0	49.5	164.9	0.0	164.9
06 02 15	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფა	0,0	0,0	0.0	0,0	60,0	0.0	60,0
	ხარჯები	0,0	0,0	0.0	0,0	60,0	0.0	60,0
06 02 16	ერთჯერადი დახმარებები	0,0	0,0	0.0	0,0	270,2	0.0	270,2
	ხარჯები	0,0	0,0	0.0	0,0	270,2	0.0	270,2

".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ქურდაძე